07
ხ-961

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რევაზ კონსტანტინეს ძე სურგულაძე

# ჟურნალისტიკის მმართველობითი ბუნება და მისი გამოვლენის თავისებურებანი

10.01.11 ჟურნალისტიკა

სადისერტაციო მაცნე

დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1 9 9 5

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ. ტაბიძე

ოფიციალური ოპონენტები:

1. ტარიელ სოლომონის ძე კვანჭილაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. გივი წალევას ძე კაპანაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

დისერტაციის დაცვა შედგება "23" VI 1995 წ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ლიტერატურის დარგის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს P 10.01 C 10-3 სხდომაზე.

380026 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაგზავნილია "15" V 1995 წ.

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი [signature] ნოდარ ტაბიძე

1508

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ჟურნალისტიკის ზემოქმედება ცხოვრებაზე განუზომლად დიდია. იგი გავლენას ახდენს ადამიანთა ცნობიერებასა და ქცევაზე და ამ გზით მართავს საზოგადოებას. ჟურნალისტიკის ეს უნარი ინფორმაციის შინაგანი ბუნებითა და მისი ერთ-ერთი სახის–სოციალური ინფორმაციის – თავისებურებით არის განპირობებული. თანამედროვე ეპოქას "ინფორმაციული აფეთქების" ხანას უწოდებენ. დღევანდელ მსოფლიოში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ორმაგდება კაცობრიობის მიერ მოპოვებული და გავრცელებული ინფორმაციის ოდენობა, რაც ადამიანებს არნახული მასშტაბების ინფორმაციული პროცესების მონაწილეებად ხდის. ამ ინფორმაციის უდიდესი ნაწილი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით – გაზეთებისა და ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მიერ ვრცელდება. თანამედროვე მსოფლიოში 30 ათასზე მეტი რადიო და სატელევიზიო სადგური ფუნქციონირებს, ადამიანები სარგებლობენ თითქმის მილიარდნახევარი რადიომიმღებით, ასეული მილიონობით ტელევიზორით, გამოდის ათი ათასამდე ყოველდღიური გაზეთი, რომელთა ერთდროული ტირაჟი ხუთას მილიონს აჭარბებს. მათ ემატება სხვადასხვა პერიოდულობით გამომავალი ათეულათასობით გაზეთი და ჟურნალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის ბროშურები, ალმანახები, წიგნები, რომელთა ერთდროული ტირაჟი ასევე რამდენიმე ასეული მილიონია. მარტო ბოლო ოცი წლის მანძილზე მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ყოველდღიური გაზეთების რაოდენობა ყოველ ათას მცხოვრებზე თითქმის ასი ერთეულით გაიზარდა. განუწყვეტლივ ფართოვდება რადიომიმღებების, ტელევიზორებისა და ვიდეოაპარატების წარმოება, კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით თანდათანობით იქმნება ერთიანი მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელი. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის გავრცე-